სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/115

ქ. თბილისი

26 ივნისი 2025წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით და ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2025 წლის 23 ივნისის საბჭოს სხდომის №5 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის №01-05-02/16 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა "სამოქალაქო ინჟინერია", ხელმძღვანელები - ასოცირებული პროფესორი ლევან ჯიქიძე და ასოცირებული პროფესორი მანუჩარ შიშინაშვილი.
   1.2. ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა "სამოქალაქო ინჟინერია", ხელმძღვანელები - ასოცირებული პროფესორი მანუჩარ შიშინაშვილი და ასოცირებული პროფესორი ლევან ჯიქიძე.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**